





ჯულიან ბარნსი  
ერთადერთი ამბავი

ჯულიან ბარნსი  
ერთადერთი ამბავი

Julian Barnes  
THE ONLY STORY

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ  
გარეკანზე: სპენსერ გორის „ჩოგბურთი ჰერტინგფორდბარიში“ (ფრაგმენტი)

© Julian Barnes, 2018  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-609-4

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ვუძღვნი ჰერმიონს



რომანი: მოკლე ამბავი, როგორც წესი, სიყვარულზე.

სემუელ ჯონსონი,  
ინგლისური ენის ლექსიკონი (1755)





ერთი



რას აირჩევდით, მეტ სიყვარულს და მეტ ტანჯვას, თუ ნაკლებ სიყვარულს და ნაკლებ ტანჯვას? ჩემი აზრით, საბოლოო ჯამში, ერთადერთი საკითხავიც ესაა.

შეიძლება მითხრათ – თან სავსებით სამართლიანადაც – აქ საკითხავიც არაფერიაო. ეგ იმიტომ, რომ ასარჩევად არა გვაქვს საქმე. არჩევანი რომ არსებობდეს, მაშინ ამ კითხვასაც ექნებოდა აზრი. ოღონდ რაკი არჩევანი მართლა არ გვაქვს, შეკითხვაც თავისთავად კარგავს აზრს. ვინ გაზომავს, რამდენად უყვარს? ეგ თუ შეგიძლია, ესე იგი, არ გიყვარს. რალაც სხვა გჭირს, თუმცა არ ვიცი, იმ სხვას რა ჰქვია სახელად.

უმრავლესობას ერთადერთი ამბავი გვაქვს მოსაყოლი. იმას არ ვამბობ, ცხოვრებაში მხოლოდ ერთი რამ ხდება-მეთქი: მოვლენა უამრავია, რასაც მერე უამრავ ამბადაც ვაქცევთ, მაგრამ მთავარი მუდამ ერთადერთია – ის, რაც, საბოლოო ჯამში, მოსაყოლად ღირს. აი, ჩემი ამბავიც ესაა.

ოღონდ პირველი თავსატეხიც აქვეა ჩასაფრებული: თუ ამბავს ერთადერთად მიიჩნევ, მაშინ მოყოლითაც ხშირ-ხშირად ჰყვები, თუნდაც ჩემსავით მხოლოდ საკუთარ თავს უყვებოდე გაუთავებლად. შესაბამისად, კითხვაც ასეთი ჩნდება: გაახლოებს ამდენჯერ

მოყოლა მომხდარის სიმართლესთან, თუ უფრო გაშორებს? ერთმნიშვნელოვანი პასუხი არა მაქვს. პასუხის დადგენა, ალბათ, იმისდა მიხედვით თუ მოხერხდება, რამდენად უკეთესი ან უარესი ჩანხარ შენ თვითონ ყოველი შემდგომი მოყოლისას. თუ ნაკლებად მოგეწონა საკუთარი თავი, ესე იგი, უფრო გულწრფელი გამხდარხარ. მეორე მხრივ, წარსულთან მიბრუნებისას განხიზვლის ცდუნებაც ჩნდება: თუკი ჩადენილს იმაზე უარეს ელფერს მიანიჭებ, ვიდრე სინამდვილეში შეიძლებოდა ჰქონოდა, ერთგვარად ამითაც იკმაყოფილებ პატივმოყვარეობას. ამიტომაც მეტი წინდახედულება მმართებს. სხვათა შორის, წლებმა ამასაც მიმაჩვია. დღესდღეობით იმდენადვე წინდახედული გავხდი, რამდენად წინდაუხედავიც ადრე ვიყავი. თუ უდარდელი? განა შეიძლება, ერთ სიტყვას ორი საპირისპირო მნიშვნელობა ჰქონდეს?

დრო, ადგილი, სოციალური გარემო? არა მგონია, სასიყვარულო ამბებში ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. შეიძლება ადრე, კლასიკოსების ხანაში ჰქონოდა, როცა ერთმანეთს უპირისპირდებოდა სიყვარული და ვალდებულება, სიყვარული და სარწმუნოება, სიყვარული და ოჯახი, სიყვარული და სახელმწიფო. ეს ჩემი ამბავი კი სხვაა. მაგრამ თუ ჩამაცივდებით, რა გაეწყობა: დრო – ორმოცდაათი ან უფრო მეტი წლის წინანდელი. ადგილი – ლონდონის სამხრეთით, თხუთმეტიოდე მილში მდებარე. გარემო – ბირჟის მაკლერთა დასახლება დიდი ქალაქის შემოგარენში, თუმცა სანამ იქ ვცხოვრობდი, არც ერთი მაკლერისთვის შორიდანაც კი არ მომიკრავს თვალი. კერძო სახლები, ზოგი ნახევრად ხით, ნახევრად აგურით ნაშენები, ზოგიც მხოლოდ მუხის მორებისაგან შეკრული, უფრო ძველებურ ყაიდაზე. ნიფლის ხეები და ზოგან დაფნის, ზოგან კი კვიდოს ბუჩქები. სანიაღვრე არხებიანი, ჯერ ყვითლად დაუხაზავი და ავტოსადგომებად მოუნიშნავი ქუჩები. ეს ის დრო იყო, როცა შეგეძლო მანქანით თამამად წასულიყავი ლონდონში და იმაზე არ გეძარდა, გასაჩერებელ ადგილს სად ვნახავო. ეს ჩვენი საგარეუბნო არემარეც მშვენიერი სახელით მოიხსენიებოდა –

დაბა ერქვა და რამდენიმე ათწლეულის წინ, ალბათ, ბოლომდეც გაამართლებდა ამ დასახელებას. იმხანად კი უკვე საკუთარი სადგური გვქონდა, საიდანაც, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, შარვალპიჯაკიანი მამაკაცები ლონდონში მიემგზავრებოდნენ; ზოგიც, განსაკუთრებით ბეჯითი და საქმიანი, მთელი ნახევარი დღით შაბათობითაც მიდიოდა. ავტობუსის გაჩერებებთან ყვითელი შუქნიშნები აპაჭუნებდნენ თვალებს, თავის დანიშნულებას უსაყვედუროდ ასრულებდა ფოსტა, ხოლო ეკლესია, ალბათ არ გაგიკვირდებათ, აქაც წმინდა მიხეილის პატივსაცემად აეშენებინათ. იყო კიდევ ლუდხანა, მაღაზია, აფთიაქი და სადალაქო; ბენზინგასამართ სადგურში მანქანასაც შეგიკეთებდნენ, თუკი უსაშველო არ სჭირდა რამე. დილაობით მთელ დასახლებაში მერძვევთა საყვირების წრიპინი ისმოდა და რძის ნაწარმით იქაურების უზრუნველყოფას ორი კომპანია ეცილებოდა ერთმანეთს: „ექსპრესი“ და „იუნაითიდ დაიერიზი“. საღამოობით, ისევე როგორც უქმე დღეებში (თუმცა კვირა დღით – არასოდეს), მთელ არემარეს ბენზინზე მომუშავე ბალახსაკრეჭების ხენემა-თუხთუხი ავსებდა.

მცოდნე-არმცოდნე, ყველა კრიკეტს თამაშობდა და მწვანე მდელოებზეც დიდი ჟრიამული იდგა. საკუთარი გოლფის მოედანიც გვქონდა და საჩოგბურთო კლუბიც. მებაღეობის მოყვარულთა გულის გასახარად, ნიადაგი საკმარისად ქვიშიანი გახლდათ – ლონდონურ თიხნარს აქამდე ვერ მოეღწია. ბოლო დროს ევროპული დელიკატესებით მოვაჭრე მაღაზიაც გაიხსნა, რაც, ზოგიერთის აზრით, ეროვნულ გრძნობებს შეურაცხყოფდა: ათასნაირი შებოლილი ყველი თუ ვირის საოხრეებივით ჩამოკონწიალებული, კანაფემოჭერილი, ხაოიანი ძეხვები... თუმცა ამან ახალგაზრდა დიასახლისებს საოჯახო მენიუს გამრავალფეროვნებისკენ უბიძგა, რითაც ქმრები სულაც არ დარჩენილან უკმაყოფილო. ორი ხელმისაწვდომი ტელეარხიდან BBC-ს მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე ITV-ს, მაგარი სასმელის მოხმარება კი, როგორც წესი, მხოლოდ უქმე დღეებს ემთხვეოდა. აფთიაქში მეჭეჭების მოსაცილებელი წამალიც იყიდებოდა და პატარა, მუცლიან ბოთლებში ჩამოსხმუ-

ლი, მშრალი თმისათვის მოსახმარი შამპუნიც, თუმცა არამც და არამც – ჩასახვის საწინააღმდეგო რაიმე საშუალება. გაზეთების დახლებზე მეტწილად ადგილობრივი, ძილის მომგვრელი გამოცემა, „ედვერთაიზერი“ ელაგა, გოგოებისთვის თვალსასეირო, ფერადოვანი ჟურნალების მაგვარს კი სანთლით ვერ მიაგნებდით ვერაფერს. საერთოდ, სექსთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად უთუოდ ლონდონში მოგიწევდათ გამგზავრება, მაგრამ ამ ამბავს თითქმის არასოდეს შეუწუხებიათ ჩემი იქ ცხოვრების მანძილზე.

მგონი, მეტ-ნაკლებად გავართვი თავი უძრავი ქონების აგენტის მოვალეობას (ისე, ერთი ასეთი სააგენტო მართლა იყო დაბიდან ათი მილის მოშორებით), ახლა კი სათხოვარი მექნება თქვენთან: ამინდზე არაფერი მკითხოთ. საერთოდ, ცუდად მახსოვს, ჩემი ცხოვრების ამა თუ იმ ხანაში რა ამინდი იდგა. რა თქმა უნდა, შემიძლია გავიხსენო, როგორ უნებდა ხოლმე ცეცხლს სექსს მზის მზურვალეობა, რამდენად საამო იყო მოულოდნელად წამოსული თოვლი, ანდა როგორ შეუწყო ხელი ცივმა, ნესტიანმა დღეებმა იმ ადრეული ნიშნების გამოვლინებას, რაც, საბოლოო ჯამში, თედოს სახსრის ანთებად ჩამომიყალიბდა. თუმცა არაფერი მართლა მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში ამინდს არ გამოუწვევია, მით უმეტეს, ამინდის გამო არ მომხდარა. ამიტომ, თუ არ მიწყენთ, მეტიგოროლოგიის საკითხებს გვერდზე გადავდებ. თქვენ კი თამამად შეგიძლიათ, როცა ჩოგბურთის თამაშზე ჩამოვადებ სიტყვას, არც თქვენი წვიმა იგულისხმობთ და არც თოვლით დაფარული კორტი.

ახლა საჩოგბურთო კლუბი: ვინ იფიქრებდა, იქ თუ დაიწყებოდა ყველაფერი! სიყმანვილეში ეს კლუბი, უბრალოდ, ახალგაზრდა კონსერვატორთა ღია ცის ქვეშ თავშესაყარ ადგილად მიმაჩნდა. რიგიანი ჩოგანიც მქონდა და ცოტ-ცოტას ვთამაშობდი კიდევ, ზოგჯერ ბოულინგის ბურთსაც ვაგორებდი და საფეხბურთო გუნდის კარსაც ვიცავდი მეტ-ნაკლები წარმატებით. მოკლედ, განსა-

კუთრებული ნიჭის რა მოგახსენოთ, მაგრამ მთლად არასპორტული ვიყავი-მეთქი, ვერც მაგას ვიტყვი.

უნივერსიტეტის პირველი კურსის დახურვის შემდეგ სამი თვე შინ გავატარე და არც იმის დამალვა მიცდია, რამდენად მოსაწყენი იყო ეს ყველაფერი. დღევანდელ ახალგაზრდებს ნამდვილად გაუჭირდებათ იმის წარმოდგენა, რა რთული იყო მაშინ ვინმესთან საერთო ენის გამონახვა. ჩემი მეგობრების უმეტესობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იყო მიმოფანტული – ცხადია, მშობლების დაჟინებითა და მოთხოვნით. ტელეფონით დიდხანს საუბრის უფლება საც იოლად ვერ ეღირსებოდი და ისეც მიწერ-მოწერის იმედზე უნდა ყოფილიყავი, პასუხის მოლოდინი კი კიდევ უფრო გიმძაფრებდა მარტოობის განცდას.

დედაჩემს ალბათ იმედი ჰქონდა, უთუოდ გაიცნობს ვინმე პირმშვენიერ, ქერათმიან კრისტინს ანდა ცეცხლოვან, შავგვრემან ვირჯინიასო – ნებისმიერ შემთხვევაში, იმნაირ ვინმეს, ვინც გარეგნულად თუ არა, გულის სიღრმეში მაინც აღიარებდა კონსერვატიული ხედვის უპირატესობებს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხერხდებოდა, თუკი მეც გავწევრიანდებოდი საჩოგბურთო კლუბში. საამისო თანხა თვითონვე შემომთავაზა. მეცინებოდა დედაჩემის ამგვარ თავგამოდებაზე: თუ რამეს არ ვაპირებდი, პირველ რიგში, ამ მიყრუებულში დაბინავებას, ჩოგბურთის კორტზე გაცნობილ გოგოზე დაქორწინებას, მერე ორი ან ოთხი შვილის ყოლას და იმის ლოდინს, ახლა ისინი როდის გამონახავდნენ საბედოებს ამავე კლუბში... მოკლედ, მომავალი მწვანეში ჩაფლულ, უსასრულო, წარსულის გამოძახილით ახმინებულ სარკეებიან გვირაბად მოჩანდა. ამიტომაც, დედაჩემის შემოთავაზებას მხოლოდ და მხოლოდ თავის შესაქცევად დავთანხმდი.

ეს ნაბიჯი გადავდგი და კლუბში განწევრიანება მოვახერხე, რაც არა მარტო ჩემი საჩოგბურთო მონაცემების გამოვლენას გულისხმობდა, არამედ ინგლისურ ყაიდაზე იმის მშვიდად, შეფარულად შემონქმებასაც, რამდენად კარგად ვიყავი აღზრდილი და რამდენად

შევეფერებოდი მოცემულ გარემოს. საკითხი კი მარტივად წყდებოდა: თუკი ნაკლოვანებების შენიღბვას მოვახერხებდი, საერთო შთაბეჭდილებაც დადებითი იქნებოდა – ეგ იყო და ეგ. დედამ გულდასმით შემომონმა, რამდენად გაქათქათებულ-გახამებული საზოგადოებრივ სამოსი მეცვა, მე კი ერთხელაც შევახსენე საკუთარ თავს – კორტზე გინება, ბოყინი თუ ცუილ-კუილი არაფრით არ უნდა წაგცდეს-მეთქი. ჩემი თამაშის ყაიდა თამამი, თავდაჯერებული და მეტწილად მხოლოდ ალღოს მინდობილი გახლდათ, მოკლედ, ისე ვთამაშობდი, როგორც, სავარაუდოდ, ელოდნენ კიდევ ჩემგან. დასაცინად არ გამიხდია თავი და არც ჩემი დარტყმული ბურთი მოხვედრია ვინმეს თავში. არც მოწოდება მიჭირდა, არც ბადესთან გასვლას ვაგვიანებდი, არც ბურთის მოჭრა წარმოადგენდა ჩემთვის განსაკუთრებულ სირთულეს და არც მოჭრილისთვის ჩოგნის სწორად დახვედრება. მოწინააღმდეგის შექებასაც არ ვთაკილობდი და არც მეწყვილის დროულად გაფრთხილება მეზარებოდა – ამ ბურთს მე ვიღებ-მეთქი. კარგი დარტყმის შემდეგ კმაყოფილებას გარეგნულად ნაკლებად ვიმჩნევდი, ოღონდ, ცხადია, მოგება ძალიან მსიამოვნებდა, წაგების გამო წყენას კი მხოლოდ თავის გადაქნევით გამოვხატავდი. ბოლო-ბოლო, მშვენივრად ავფულე ალღო ყველაფერს და იმ ზაფხულს კლუბის მუდმივმა წევრებმა, იქაურმა ჰუგოებმა და კეროლაინებმა დროებით მეც თავისიანად მიმიღეს და მალიარეს.

ეს ჰუგოები ხშირ-ხშირად მიმეორებდნენ, შენი მოსვლით კლუბში ინტელექტის საშუალო კოეფიციენტმა აიწია, საშუალო ასაკის მაჩვენებელი კი შემცირდაო. ერთი მათგანი ჯიუტად ხან ჭკუის კოლოფს მეძახდა, ხანაც – ჰერ პროფესორს, აქაოდა, სასექსის უნივერსიტეტის ერთი კურსი გაქვს ჩათავებულიო. მეგობრულად განწყობილი ჩანდნენ კეროლაინებიც, თუმცა გარკვეულ სიფრთხილეს ავლენდნენ – ჰუგოებთან მაინც უფრო იოლად პოულობდნენ საერთო ენას. ისე, ამ წრეში ტრიალისას ვგრძნობდი, როგორ ნელ-ნელა მიქრებოდა მეტოქეობის თანდაყოლილი ყინი: მართალია, სულ ვცდილობდი, თამაშის დროს არაფერი დამეთმო, მაგრამ არც მაინცდამაინც მოგებისთვის ვიკლავდი თავს. ცოტ-ცოტა ვემშაკობდი



კიდევ: მაგალითად, მეტოქის ჩამონოდებულ ბურთს ცოტათი ხაზი რომც გადაეკვეთა, მონონების ნიშნად მაინც აუტილებლად ავნივ-დი ცერს და შევაქებდი – კარგი იყო-მეთქი. არც უვარგის მონო-დებას ვიმჩნევდი, მხოლოდ უხმოდ დავაქნევდი ხოლმე თავს იმის ნიშნად, შემდეგი უთუოდ უკეთესი გამოგივა-მეთქი. ერთხელ ყური მოვკარი, როგორ გადაულაპარაკა ერთ-ერთმა ჰუგომ მეორეს – კაი ბიჭია ეს ჩვენი პოლიო. ნაგებულიც კი გულიანად ვართმევდი ხელს მონინალმდეგეს და არც მისი ამა თუ იმ ილეთის დაფასე-ბა მაგინყდებოდა. შენმა ჩახვეულმა მონოდებებმა მართლა ხვითი მადინა-მეთქი, ვეუბნებოდი თავმდაბლად. თითქმის ორი თვე დავიარებოდი კლუბში და ჯერაც არ ვაპირებდი, მათთვის ჩემი ნამ-დვილი სახე დამენახებინა.

საჩოგბურთო კლუბის დროებითი ნევრობის მესამე კვირას, მოყვარულთა შორის, შერული ნყვილების შეჯიბრი გაიმართა. ნყვილები კენჭისყრით შეირჩა – მახსოვს, მოგვიანებით ვფიქრობ-დი, კენჭისყრაც ბედისწერის სახეობაა-მეთქი. რა, ასე არაა? მე მისის სიუზენ მაკლაუდთან მომინია დანყვილება, ვინც ორმოცს გადაცილებული უნდა ყოფილიყო და კეროლაინების სახეობას ნამ-დვილად არ განეკუთვნებოდა. უკან გადავარცხნილი თმა ბაფთით შეეკრა და ყურები კარგად მოუჩანდა, თუმცა მაშინ ამისთვის არა-ნაირი ყურადღება არ მიმიქცევია. მოკლე, თეთრი, მწვანეკანტიანი საჩოგბურთო კაბა ეცვა, გულისპირზე მწვანე ღილებით განყობი-ლი. თითქმის ჩემი სიმაღლის იქნებოდა, მე კი მეტრი და ოთხმოცი ვარ – ყოველ შემთხვევაში, მწოლიარე მდგომარეობაში მაინც.

- რომელი მხრიდან გირჩევნია თამაში? – მკითხა.
- უკაცრავად? – ვერ მიფუხვდი ნათქვამს.
- მარჯვნიდან თუ მარცხნიდან? ცაცია ხომ არა ხარ?
- არა. ჩემთვის სულერთია.
- მაშინ ჯერ მარჯვნივ დადექი.

პირველ წრეში თითო სეტი უნდა გვეთამაშა გავარდნაზე. მონინალმდეგეებად ვინმე ჯმუხი ჰუგო და პუტკუნა კეროლაი-

ნი გვერგო. დიდი თავგამოდებით დავქროდი მოედანზე, საკუთარ ვალდებულებად მიმაჩნდა ბურთების უმეტესობის აღება. თავიდან ბადესთან რომ გავიდოდი, ცალ თვალს ჩემი მენჯილისკენ ვაპარებდი, მაგრამ ის უშეცდომოდ თამაშობდა და მეც დავმშვიდდი, მაგრამ მალე იმასაც მივხვდი, როგორ გულით მინდოდა მოგება. მოვიგეთ კიდეც, ექვსით ორი.

მერე, როცა უკვე ლიმონიან წყალს ვწრუპავდით, ვუთხარი:

– დიდი მადლობა, ბევრჯერ გადამარჩინეთ.

იმ რამდენიმე შემთხვევას ვგულისხმობდი, როცა ფეთიანივით მივანყდი ბადეს, ჩოგანი ბურთს ავაცილე და ჩემი შეცდომების გამოსწორებაც მისის მაკლაუდს მოუწია.

– შენც არა გიშავდა. მართლა გეუბნები, – მორუხო-მოცისფრო თვალები ჰქონდა და მშვიდი ლიმილი. – ოღონდ ამის შემდეგ ცოტა უფრო თამამად მოაწოდე, კუთხისკენ.

თავი დავუქნიე. მადლობელიც კი დავრჩი რჩევისთვის. არც თავმოყვარეობა შემლახვია. არადა, რომელიმე ჰუგოს რომ ეთქვა იგივე, ნაღდად ცუდად მომხვდებოდა გულზე.

– სხვას კიდევ რას მირჩევდით?

– წყვილებში მთავარია, შუაში ცარიელი სივრცე არ რჩებოდეს.

– გმადლობთ, მისის მაკლაუდ.

– სიუზენი მქვია.

– კარგია, რომ კეროლანინი არა ხართ, – დამცდა ჩემდა უნებურად.

ისე ჩაეცინა, თითქოს მშვენივრად მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი, მაგრამ რანაირად უნდა მიმხვდარიყო?!

– თქვენი მეუღლეც თამაშობს?

– ჩემი მეუღლე? – ამჯერად უკვე ხმამაღლა გაიცინა. – არა. ეგ სპილო მარტო გოლფს თუ ითამაშებს. არადა, მე თუ მკითხავ, გაჩერებულ ბურთს რომ ურტყამ, დიდი ვერაფერი სპორტია, შენ რას იტყვი?

პასუხი იმდენად გადაკრული ჩანდა, მაშინვე ვერაფერი ვთქვი და ზრდილობისთვის გაღიმებულმა, უხმოდ დავუქნიე თავი.

მეორე შეხვედრაში უფრო გაგვიჭირდა. ჩვენი მეტოქეებიც ისე ხშირ-ხშირად თათბირობდნენ, თითქოს საქორწინოდ ემზადებოდნენ. როდესაც ბურთის მისის მაკლაუდი ანოდებდა, მე მოედნის შუახაზზე, ზედ ბადესთან ჩავიმუხლე, საპასუხო დარტყმის ასაცილებლად – ამან ერთხელ გაამართლა, მაგრამ მეორე მოწოდებისას ეტყობა, ზედმეტად სწრაფად წამოვიმართე და ბურთიც შიგ კეფაში მომხვდა. ცოტა არ იყოს, თეატრალურად გავიშხლართე. ის ჩვენი მეტოქე კეროლანინცა და ჰუგოც შემფოთებულები მომვარდნენ, ზურგსუკან კი გულიანი სიცილი გაისმა და ჩემმა მენჯვილიმაც პატარა გოგოსავით ხალისიანად იკითხა: რას ვშვრებით, ხელახლა ვანოდებო? ცხადია, მონინალმდეგეებმა ცხარე დავა-კამათი გაგვიმართეს. საბოლოოდ, მაინც მოვიგეთ, შვიდით ხუთი, და მეოთხედფინალშიც გავედით.

– ახლა მართლა გაგვიჭირდება, – გამაფრთხილა მისის მაკლაუდი. – გამოცდილები არიან, იოლად არაფერს დაგვითმობენ. საჩუქრების იმედიც ნუ გექნება.

ასეც მოხდა. მთელი ჩემი თავგამოდების მიუხედავად, მწარედ დავმარცხდით. როცა შუა მოედნის გადაკეტვას ვცდილობდი, ბურთი მაინცდამაინც კუთხეში მიდიოდა ხოლმე, ხოლო როცა კუთხეს ვილებდი, ზედ შუა ხაზზე ეცემოდა. მოკლედ, ორ მოგებაზე მეტი ვერ დავიმსახურეთ.

სკამზე ვისხედით და ჩოგნებს შალითებში ვაბინავებდით. მე „დანლოპი“ მქონდა, მისის მაკლაუდს – „გრეი“.

- გაგანზილეთ, – ვუთხარი.
- კარგი ერთი, გამანზილე არა...
- ტაქტიკაში მოვიკოჭლებ.

ზედმეტად პათეტიკური ნათქვამი კი გამომივიდა, მაგრამ მისმა სიცილმა მაინც გამაკვირვა.

- მაგარი ხარ. ამის მერე მეც მაგაროს დაგიძახებ.

გავუღიმე. შექებად მივიღე და მესიამოვნა კიდეც.

უკვე გასახდელისკენ მივდიოდით, როცა ვუთხარი, მანქანით ვარ და თუ გნებავთ, მიგიყვანთ-მეთქი.

ცერად გამომხედა.

– უმანქანოდ რომ იყო, არც გამოგყვებოდი. რა ხეირი?! – ეს ისე მითხრა, დაცინვად ნამდვილად ვერ ჩაუთვლიდი და არც შეუ-რაცხყოფილად მიგრძნია თავი. – ოღონდ სახელი რომ გაგიტყდეს?

– რაც არა მაქვს, რა უნდა გამიტყდეს... – ვცადე გახუმრება.

– ეგ ვერაა კარგი ამბავი. მაგაზე უნდა ვიზრუნოთ. ახალგაზ-რდა კაცისთვის კარგი სახელის დაგდება, უბრალოდ, აუცილებე-ლია.

ახლა, როცა ამას ვწერ, თითქოს აზრსაც უფრო მეტს ვხედავ მომხდარში. არადა, არც არაფერი მომხდარა ისეთი. მისის მაკლაუ-დი შინ მივიყვანე, დაქერზ-ლეინზე. მანქანიდან გადმოვიდა, მეც ჩემს გზაზე წამოვედი, სახლში მივედი და იმ საღამოს მშობლებს მოკლედ ვუამბე შეჯიბრის ამბები. ისიც ვუთხარი, მენყვილე კენ-ჭისყრით მერგო-მეთქი.

– მეოთხედფინალში გახვედი, პოლ? – გაუხარდა დედას. – ნე-ტა მცოდნოდა, აუცილებლად მოვიდოდი.

ალბათ ეს იყო, რაც დედამინის ზურგზე ყველაზე ნაკლებად მინდოდა, ან როდისმე მომინდებოდა.

სავარაუდოდ, ზედმეტად სწრაფად ხვდებით უკვე ყველაფერს, მაგრამ ეს რა თქვენი ბრალია?! ზოგადად, ადამიანებს გვჩვენია, ნებისმიერი ახალი, თუნდაც შემთხვევითი ურთიერთობა იმთავით-ვე ნაგულისხმევთა რიგს მივაკუთვნოთ. ამ ურთიერთობაში ზო-გადსა თუ საყოველთაოდ გავრცელებულს დავეძებთ, მაშინ როცა უშუალო მონანილეები მასში ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ხედავენ. ჩვენ ვამბობთ, თავიდანვე აქეთ მიდიოდა საქმეო, ისინი კი გაიძახიან, ღმერთო, ეს რა საოცრებააო. როცა სიუზენსა და საკუთარ თავზე ვფიქრობდი – მაშინაც და ახლაც, ამდენი წლის შემდეგ – სულ მეჩვენებოდა, რომ ჩვენს ურთიერთობას ხშირად ვერანაირი სიტყვებით ვერ გადმოვცემდი, ვერ აღვწერდი. ყოველ შემთხვევაში, ზუსტ სიტყვებს მაინც ვერ მოვნახავდი. თუმცა იქნებ